საქართველოს მთავრობის

დადგენილება №284

2020 წლის 1 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2020, 120160030.10.003.021892) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^5 მუხლი:

„**მუხლი 1^5.** დამტკიცდეს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ჩამონათვალი, დანართ 5-ის შესაბამისად, რომლებსაც მხოლოდ ამავე დანართით განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით არ ეზღუდებათ ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.“.

2. დაემატოს თანდართული შინაარსის დანართი 5.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 10 აპრილიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**